

## განმარტებითი შენიშვნები

შპს „უნიქალმედის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ  
ანგარიშგებაზე

### ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება: უნიქალმედი

სამართლებლივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412714870

რეგისტრაციის თარიღი 28.01.2016

მარეგისტრირებული ორგანო:საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამარი:ქუთაისი.გამარჯვების 1 შესახვევი # 14.

ხელმძღვანეობა, წარმომადგენლობა:

დირექტორი: კახა ნურალიძე 01030017748

### პარტნიორები

| მესაკუთრე                       | წილი  |
|---------------------------------|-------|
| ზვიად წიქორიძე 53001002934      | 25%   |
| ანო გაგულაშვილი 60001033679     | 15%   |
| მარიამი ბოჭორიშვილი 60001137197 | 33,4% |
| კახა ნურალიძე 01030017748       | 26,6% |

ცვლილებები:

საანგარიშგებო პერიოდში შპს „უნიქალმედის“ სარეგისტრაციო მონაცემები არ შეცვლილა (დირექტორის ცვლილება მოხდა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, კერძოდ 2025 წლის 05.02 რიცხვში შეიცვალა დირექტორი და გახდა ბატონი კახა ნურალიძე, ხოლო წილობრივი ცვლილებები, წილის გადანაწილება მოხდა 21.07.2025 წელს).

საქმიანობის სფერო:

სამედიცინო მომსახურება;

მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა ნებისმიერი საქმიანობა

## 1. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს დირექტორი;

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია დირექტორი;

ფინანსური ანგარიშგების შედგენას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი.იგი პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე საქმიანობის უწყვეტობის დაშვებით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ბუღალტერი ასევე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და სანდო შიდა კონტროლის შემუშავებასა, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

## 2. შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებაზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო). გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

საზოგადოება ფუნქციონირებადია და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას საწარმოს აქტივები (ძირითადი საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმს) შეფასებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება ანაზღაურების რეალურ ღირებულებას;

## 3. ფუნქციონალური ვალუტა

ფუნქციონალურ და ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

#### 4. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების აღიარება განხორციელებულია ბასს 16 -ის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით;

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი (თავდაპირველ ღირებულებას მინუს ცვეთა) მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი;

საზოგადოების ინვესტიციები ბალანსზე ასახულია საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხებით:

გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი, საექსპლუატაციოდ გათვლილი ერთ წელზე მეტი ვადით;

ფინანსური იჯარა აისახება გრძელვადიან აქტივებში.

#### 4. ცვეთა; ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი:

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლუატაციის (ცვეთის) პერიოდი და ცვეთის ღირებულება.

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა როგორც არაარსებითი და ამდენად ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის (ძირითადი საშუალების) თვითღირებულების ტოლფასია;

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

#### 6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება აღრიცხვის მუდმივი (წრფივი) მეთოდი.

#### 7. ხარჯებად აღიარება:

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის (და არა შეძენის) მომენტში.

#### 8. საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა:

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება ბასს 18-ის მოთხოვნათა შესაბამისად .

ა) მყიდველს გადაეცემა საქონლის აკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი

ბ) შეწყვეტილია უწყვეტი მენეჯერული მონაწილეობა და გაყიდულ საქონელზე არ ხორციელდება კონტროლი;

გ) შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციებთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### 9. პროცენტების, როიალტების და დივიდენდის აღრიცხვა:

პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება ბასს 148-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, თუ:

ა) მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში შემოვა ეკონომიკური სარგებელი.

ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება (ბასს 18).

გ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე.

დ) დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება დივიდენდის მიღების შესახებ.

#### 10. საკუროს სხვაობების აღიარება:

საკუროს სხვაობები რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების ან მუხლის გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, აღიარდება მოგებაშიან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდსი როდესაც წარმოიშობა ბასს 21 ის მოთხოვნის შესაბამისად

#### 11. სალაროს და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა:

ანგარიშსწორებისას უპირატესად გამოიყენება უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებს და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის შესაბამისად.

## 12. შრომის ანაზღაურების აღრიცხვა:

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს-19-ის დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების მიხედვით.

ხელფასის გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში მომდევნო თვის 15 რიცხვამდე შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

## 13. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა:

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკს მე-8 თავის -მოგების გადასახადის 96-99 მუხლების მოთხოვნის შესაბამისად.

2017 წლის პირველი იანვრიდან გამოიყენება ე.წ. ესტონური მოდელი.

კომპანიის წმინდა მოგების გამოყენება ხორციელდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით. წინა წლებში მიღებული ზარალის გამოკლების შემდეგ დარჩენილი ნაშთის გათვალისწინებით.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ის 11 ტავის 79-82 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი აღირიცხება სსკ-ის 19 თავის 200-206 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდში შპს „უნიქალმედის“ სარეგისტრაციო მონაცემები არ შეცვლილა. შემდგომი ცვლილებები განვითარდა მხოლოდ 2025 წელს, კერძოდ, 05.02 რიცხვში შეიცვალა დირექტორი და დაინიშნა ბატონი კახა ნურალიძე, ხოლო წილობრივი ცვლილებები განხორციელდა 21.07.2025 წელს.


ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია ჩაერთო რეაბილიტაციის რეჟიმში 2025 წლის 13 თებერვლიდან, ხოლო მისი რეაბილიტაციის გეგმა-გრაფიკი დამტკიცდა 2025 წლის 9 სექტემბერს, ასევე ქუთაისის სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

დირექტორი



კახა ნურალიძე

მთავარი ბუღალტერი



ნანა მენტეშაშვილი


თარიღი: 29.09.2025 წელი



**ფინანსური მდგომარეობა**

**ფინანსური მდგომარეობა**

|                                                                                             | 31/12/2024 | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 124897     | 7003       | 300        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 7545985    | 7545799    | 2570015    |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 37789      | 247475     | 0          |
| მარაგები                                                                                    | 677766     | 86311      | 1537483    |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                                                        | 677766     | 86311      | 1537483    |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 486500     | 892950     | 120321     |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0          | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0          | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0          | 0          | 0          |
| გუდვილი                                                                                     | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 10695      | 7971       | 3619       |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 10910739   | 11003610   | 5468262    |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0          | 0          | 0          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0          | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                                                                | 19794371   | 19791119   | 9700000    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 2237779    | 3264198    | 820000     |
| ანარიცხები                                                                                  | 0          | 0          | 0          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 613792     | 613541     | 640570     |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 153448     | 592432     | 0          |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  | 1867946    | 1962475    | 0          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 650000     | 650000     | 0          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 8629312    | 8143218    | 5734959    |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 0          | 735135     | 0          |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 14152277   | 15960999   | 7195529    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 312345     | 312345     | 312345     |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0          | 0          | 0          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 4738648    | 2926674    | 1601025    |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 591101     | 591101     | 591101     |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0          | 0          | 0          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 5642094    | 3830120    | 2504471    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 19794371   | 19791119   | 9700000    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 486500     | 892950     | 422819     |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 767240     | 735135     | 1460570    |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                                   | 0          | 0          | 0          |




საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები  
საქონლის გაყიდვიდან  
მომსახურების გაწვიდან  
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან  
სხვა  
გაყიდვების თვითღირებულება  
საწყისი მარაგები  
მარაგების შესყიდვა  
გაღამუშავების დანახარჯები  
საბოლოო მარაგები  
საერთო მოგება  
სხვა საოპერაციო შემოსავალი  
დასაქმებულთა ანაზღაურება  
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი  
საპროცენტო შემოსავალი  
საპროცენტო ხარჯი  
იჯარის ხარჯი  
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი  
სულ საოპერაციო ხარჯები  
საოპერაციო მოგება

| 31/12/2024 | 31/12/2023 |
|------------|------------|
| 1811974    | 3815135    |
| 0          | 0          |
| 1811974    | 3815135    |
| 0          | 0          |
| 0          | 0          |
| 0          | -1104736   |
| 0          | 0          |
| 0          | 0          |
| 0          | 0          |
| 1811974    | 2710399    |
| 0          | 0          |
| 0          | -698649    |
| 0          | 0          |
| 0          | 0          |
| 0          | -80875     |
| 0          | 0          |
| 0          | -1214702   |
| 0          | -1994226   |
| 1811974    | 716173     |

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა  
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა  
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა  
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან  
მიღებული დივიდენდები  
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)  
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან  
მოგების გადასახადის ხარჯი  
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი

|         |        |
|---------|--------|
| 0       | 0      |
| 0       | 0      |
| 0       | 0      |
| 0       | 0      |
| 0       | 0      |
| 0       | 18375  |
| 1811974 | 734548 |
| 0       | 0      |
| 1811974 | 734548 |

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი  
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)  
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:  
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)  
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში  
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')  
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)  
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში  
კაპიტალის სხვა ცვლილებები  
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

|         |         |
|---------|---------|
| 0       | 591101  |
| 0       | 0       |
| 0       | 591101  |
| 1811974 | 1325649 |
| 3830120 | 2504471 |
| 0       | 0       |
| 0       | 0       |
| 0       | 0       |
| 0       | 0       |
| 5642094 | 3830120 |

კვლევისა და განვითარების ხარჯები

|   |   |
|---|---|
| 0 | 0 |
|---|---|



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები  
 საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები  
 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები  
 ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)  
 ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე  
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში  
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

| 31/12/2024 | 31/12/2023 |
|------------|------------|
| 117894     | 6703       |
| 0          | 0          |
| 0          | 0          |
| 117894     | 6703       |
| 0          | 0          |
| 7003       | 300        |
| 124897     | 7003       |

*(Handwritten signature)*

